საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

„გუთნის დედა“

„გუთნის დედა“, პირველი ქართული სასოფლო-სამეურნეო პროფილის ილუსტრირებული ორკვირეული ჟურნალი. გამოდიოდა თბილისში 1861 დეკ-იდან 1876 ოქტ-მდე. სხვადასხვა დროს რედაქტორები იყვნენ ი. კერესელიძე , ი. ოქრომჭედლიშვილი (სერებრიაკოვი; ფაქტობრივი ხელმძღვანელი), ა. ფურცელაძე , ა. ვართანოვი.

1861–72 იყო ჟურნ. „ცისკრის" დამატება. 1873-იდან დამოუკიდებელი ჟურნალი გახდა. გამოსცემდა „კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოება". იბეჭდებოდა აგრონ. ხასიათისა და XIX ს. 60–70-იანი წლების საქართვ. სოფ. მეურნეობის ამსახველი სტატიები, აგრეთვე იმ სას.-სამ. იარაღების სურათები, რ-თა გაყიდვასაც სთავაზობდა მკითხველს.

გ. თოდუა